სოციოლოგია

ცხადდება მათთვის, ვისაც უკვე ჩაბარებული აქვს მინიმუმის გამოცდები **(გარდამავალი პროგრამა)**.

2. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: სოციოლოგიის დოქტორი (PhD in Sociology)

3. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი:

სახელი, გვარი: იაგო კაჭკაჭიშვილი.
თანამდებობა: თსუ პროფესორი, სოციოლოგიის დეპარტამენტის დირექტორი.
სამუშაო ადგილი: ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიის დეპარტამენტი.

4. სადოქტორო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:

- **მიზანი:** სოციოლოგიის სადოქტორო პროგრამის მიზანია: ა) სოციოლოგიაში (აგრეთვე, ზოგადად, სოციალურ მეცნიერებებში) შეძენილი განათლების კონკრეტული და სიღრმისეული გაფართოება როგორც სოციალურ-თეორიული, ისე, სოციოლოგიური კვლევის ემპირიული მეთოდების მიმართულებით; ბ) სოციოლოგიის დარგში ინოვაციური კვლევების წახალისება და მათი აკადემიური ინსტიტუციონალიზაცია საკვალიფიკაციო ხარისხის მინიჭებით.
- **შედეგი:** პროგრამის დასრულების შემდეგ სოციოლოგიის დოქტორი უნდა ფლობდეს: ა) კვალიფიციურ ცოდნას თანამედროვე სოციოლოგიის ძირითად თეორიებსა და კვლევის მეთოდებში იმ ზომით, რომ შეძლოს საუნივერსიტეტო სივრცეში პედაგოგად მოღვაწეობა; ბ) სრულფასოვანი ემპირიული კვლევის დამოუკიდებლად ჩატარების უნარ-ჩვევებს, სულ მცირე, კვლევის მეთოდიკის შემუშავების და მონაცემების ანალიზის მიმართულებით (ანუ უნდა შეეძლოს თანამედროვე ემპირიული კვლევის მეთოდების ადეკვატური გამოყენება საზოგადოებისათვის აქტუალური საკითხების შესწავლისთვის).
- **დასაქმების სფეროები:** სოციოლოგის დოქტორანტურის კურსდამთავრებულს შეეძლება სასწავლო და სამეცნიერო მოღვაწეობის გაგრძელება აკადემიურ სივრცეში (უნივერსიტეტები, კვლევითი ინსტიტუტები), აგრეთვე, კვლევითი და ანალიტიკური საქმიანობა როგორც სახელმწიფო დაწესებულებებში, ისე, კერძო და არასამთავრობო სექტორებში.

5. სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები:

- მაგისტრის (ან მასთან გათანაბრებული) ხარისხის ფლობა ნებისმიერ სპეციალობაში.
- უცხო ენის (ინლისური, გერმანული ან ფრანგული) ცოდნა, სულ მცირე, 2 დონეზე მაინც.

ზემოაღნიშნულის გარდა, სასტარტო პირობები დოქტორანტურის ყველა მსურველისთვის თანაბარია.